



საქართველოს პარლამენტი

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი

2-4879/20
13-04-2020

საქართველოს პარლამენტის ბიუროს
ასლი: საორგანიზაციო დეპარტამენტის უფროსს
ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 44-ე მუხლების შესაბამისად წარმოგიდგენთ საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის 2019 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშს.

დანართი: 25 გვერდი

პატივისცემით,

კომიტეტის თავმჯდომარე
ირაკლი ბერაია

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის 2019 წლის საქმიანობის ანგარიში

1. წინასიტყვაობა

საქართველოს სუვერენიტეტის განმტკიცება, დეოკუპაცია და კონფლიქტის მშვიდობიანი გზებით მოგვარება, ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია, საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორებთან ურთიერთობების გაღრმავება, ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატებში თანამშრომლობის გაძლიერება, საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობის პროცესში საქართველოს აქტიური ჩართულობა, ქმედითი და დაბალანსებული რეგიონალური პოლიტიკის განხორციელება, ტრანსნაციონალურ პროექტებში ქვეყნის ჩართულობა, ეკონომიკური დიპლომატია, დიასპორებთან ურთიერთობა და საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეების უფლებებისა და მათი კანონიერი ინტერესების დაცვა, - ჩვენი სახელმწიფოს ძირითად საგარეო პოლიტიკურ პრიორიტეტებს წარმოადგენს.

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად ქვეყნის საგარეო პოლიტიკური პრიორიტეტების განსაზღვრა პარლამენტს ეკისრება. შესაბამისად, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი თავისი პროფილიდან და ფუნქციებიდან გამომდინარე აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში.

საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი საანგარიშო პერიოდის განმავლობაში აქტიურად მუშაობდა საკანონმდებლო და საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების მიმართულებით და საპარლამენტო კავშირების გაძლიერებისა და ქვეყნის საგარეო პოლიტიკური ამოცანების მიღწევის მიზნით აქტიურად იყენებდა საპარლამენტო დიპლომატიას. საზედამხედველო საქმიანობის განხორციელების და საგარეო პოლიტიკის სხვადასხვა აქტუალური საკითხის განსახილველად, სისტემატურად იმართებოდა საკომიტეტო სხდომები, მოსმენები და სამუშაო შეხვედრები.

საკანონმდებლო საქმიანობის გარდა, კომიტეტის წევრები აქტიურად მონაწილეობდნენ სხვადასხვა შეხვედრებში როგორც საქართველოში, ასევე საქართველოს საზღვრებს გარეთ. საანგარიშო პერიოდში დაიგეგმა და განხორციელდა საქართველოსთან პარტნიორი ქვეყნების საპარლამენტო დელეგაციების და საპარლამენტო მეგობრობის ჯგუფების ვიზიტები საქართველოში, ასევე, კომიტეტის წევრებმა გამართეს არაერთი ოფიციალური ვიზიტი პარტნიორ ქვეყნებში.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განახორციელა საქართველოს კონსტიტუციით, პარლამენტის რეგლამენტით და კომიტეტის დებულებით გათვალისწინებული შემდეგი საქმიანობა:

2. საკანონმდებლო საქმიანობა

1) საქართველოს კანონის პროექტები: „ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკის დაგეგმვისა და კოორდინაციის წესის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „სამხედრო, შინაგან საქმეთა ორგანოების და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურიდან თადარიგში დათხოვნილ პირთა და მათი ოჯახის წევრთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „სახელმწიფო კომპენსაციისა და სახელმწიფო აკადემიური სტიპენდიის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „საჯარო დაწესებულებაში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „საქართველოს კანონში „თავისუფლების ქარტია“ ცვლილების შეტანის შესახებ“ „იარაღის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „თავდაცვის დაგეგმვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „შეკრებებისა და მანიფესტაციების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ „სამოქალაქო უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონის შემუშავება განაპირობა საგანგებო სიტუაციების ეფექტიანი მართვისა და ერთიანი ორგანიზების მიზნით 2017 წლის 14 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებებმა, რის შედეგადაც აღმასრულებელ ხელისუფლებაში განხორციელდა სისტემური რეფორმა, კერძოდ, საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოსა და სახელმწიფო უსაფრთხოების და კრიზისების მართვის საბჭოს აპარატის ბაზაზე შეიქმნა საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახური --- სპეციალური დანიშნულების სახელმწიფო დაწესებულება, რომელიც უშუალოდ საქართველოს პრემიერ-მინისტრს ექვემდებარება და იგი პასუხისმგებელია სამოქალაქო უსაფრთხოების სფეროში პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე, ეროვნული სისტემის ფუნქციონირების კოორდინაციაზე, საგანგებო სიტუაციების ეფექტურ პრევენციასა და მათზე რეაგირების უზრუნველყოფაზე და არსებული რისკების მართვაზე. აღნიშნული ცვლილებების განსახორციელებლად დღის წესრიგში დადგა საქართველოს რიგ საკანონმდებლო აქტებში ცვლილებების შეტანა და შექმნილი სამსახურის გათვალისწინება. კომიტეტმა მხარი დაუჭირა წარმოდგენილ საკანონმდებლო ცვლილებებს.

2) საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს საზღვაო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონპროექტის მიზანი გახლდათ საქართველოში მგზავრებისა და მათი ბარგის საზღვაო გადაყვანა-გადაზიდვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების პასუხისმგებლობისა და ფარგლების საკანონმდებლო საფუძვლების სრულყოფა და საქართველოსა და ევროკავშირის შორის დადებული ასოცირების შეთანხმებით გათვალისწინებული ევროპარლამენტისა და საბჭოს (EC) 2009 წლის 23 აპრილის N 392/2009 რეგულაციის „მგზავრების ზღვით გადაყვანის დროს ინციდენტის შემთხვევაში გადაზიდვის პასუხისმგებლობის შესახებ“ მოთხოვნების შესრულება, აგრეთვე, „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და მათი ბარგის გადაზიდვის შესახებ“ ათენის კონვენციის 2002 წლის ოქმის დებულებების შესრულება.

3) „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ წარმოდგენილი კანონპროექტის მიზანი იყო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის ბინადრობის უფლების მინიჭების გამკაცრება. კერძოდ, კანონპროექტის თანახმად უნდა გაუქმდეს მოკლევადიანი ბინადრობის ნებართვა, რომელიც მოქმედი კანონმდებლობის თანახმად გაიცემა „უცხოელზე, რომელსაც საქართველოს ტერიტორიაზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით აქვს საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე (გარდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწისა), რომლის საბაზრო ღირებულება აღემატება 35000 აშშ დოლარის ეკვივალენტს ლარში, და მისი ოჯახის წევრებზე“. აგრეთვე, საინვესტიციო ბინადრობის ნებართვის გაცემა უნდა მოხდეს საქართველოში 500 000 დოლარის ინვესტირების შემთხვევაში, ნაცვლად 300 000 ლარისა, ამასთან ინვესტორს მოეთხოვება არანაკლებ 50 საქართველოს მოქალაქის დასაქმება. აღნიშნულ შემთხვევაში ბინადრობის ნებართვა გაიცემა 6 წლით. კომიტეტმა მიიჩნია, რომ ცვლილებებით გათვალისწინებულია გაუმართლებელი ფინანსური შეზღუდვები და საქართველოში შემოსვლისა და ყოფნის ზედმეტად მკაცრი საკანონმდებლო რეგულირება, რაც წინააღმდეგობაში მოდის როგორც საქართველოში საინვესტიციო გარემოს ხელშეწყობის ინტერესებთან, ასევე საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებთან და ევროატლანტიკური ინტეგრაციის მისწრაფებებთან. შესაბამისად, კომიტეტმა არ დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ცვლილებებს.

4) საქართველოს კანონის პროექტი: „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტის მიხედვით „სახელმწიფო შესყიდვების თაობაზე“ კანონის 10¹ მუხლის მესამე პუნქტს დაემატება „ლ“ ქვეპუნქტი, რომლის თანახმადაც, გამარტივებული წესით განსახორციელებელი შესყიდვების ჩამონათვალს დაემატება საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენებასთან დაკავშირებული შესყიდვების განხორციელება საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების და საკონსულო დაწესებულებების მიერ. შესაბამისად, საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობები და საკონსულო დაწესებულებები იმოქმედებენ კანონის

ფარგლებში და „საზღვარგარეთ გარდაცვლილ საქართველოს მოქალაქეთა საქართველოში გადმოსვენების ხარჯების ანაზღაურების წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის დადგენილების შესაბამისად.

- 5) საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, დოკუმენტი „ქვეყნის ძირითადი მონაცემები და მიმართულებები 2020-2023 წლებისათვის“ და საქართველოს მთავრობის მოხსენება „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების მიმდინარეობის შესახებ“ საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა განიხილა „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად და გამოთქვა საგარეო საქმეთა სამინისტროს შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებით გარკვეული რეკომენდაცია.
- 6) საქართველოს კანონპროექტი „საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ“ ცვლილების შეტანის თაობაზე“ ცვლილება ითვალისწინებს კანონის 20^ე მუხლისთვის 2^ე პუნქტის დამატებას, რომლის თანახმადაც, დაკარგვის საფუძვლით პასპორტის შეცვლის დროს მოთხოვნას თან უნდა დაერთოს სამართალდამცავი ან სხვა კომპეტენტური ორგანოსათვის ამ გარემოების თაობაზე შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტი. ამასთან, ახალი რედაქციით ჩამოყალიბდა ამავე კანონის 20^ე მუხლის 8^ე პუნქტი, რომლის შესაბამისადაც, პასპორტის დაკარგვის თაობაზე სამართალდამცავი ან სხვა კომპეტენტური ორგანოსათვის მიმართვის დამადასტურებელი დოკუმენტი მიიღება ლეგალიზებისა და აპოსტილით დამოწმების გარეშე. ცვლილება ხელს უწყობს გაცემული პასპორტის დაკარგვის საფუძვლით პასპორტის გაუქმების დროს ახალი პასპორტის (დოკუმენტის) აღების პროცესის მოწესრიგებას და საქართველოს მოქალაქეების უცხო ქვეყნებში გადაადგილებას რეალურად მოქმედი დოკუმენტებით. ცვლილების დანიშნულებაა იმოქმედოს, როგორც ევროკავშირთან უვიზო რეჟიმით ბოროტად სარგებლობის შემთხვევების გამოვლენისა და პრევენციის დამატებითი ბერკეტი და საშუალებას მოგვცეს სრულად ვისარგებლოთ იმ პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული და სხვა უპირატესობებით, რაც მოიტანა საქართველოსთვის ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის შემოღებამ.
- 7) „საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება და საქართველოს კანონის პროექტები: „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონებში ცვლილების შეტანის თაობაზე“ „პროკურატურის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის ცვლილებებისა და „დიპლომატიური სამსახურის შესახებ“ კანონებში აისახება

„საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ“ 2019 წლის 29 მარტის შეთანხმებით გათვალისწინებული, ევროჯასტში მეკავშირე პროკურორის, ევროჯასტში მეკავშირე პროკურორის დამხმარის, ევროჯასტთან საქართველოს პროკურატურის საკონტაქტო პირისა და ტერორიზმის საკითხებზე საქართველოს ეროვნული კორესპონდენტის დეფინიციები და მათი საქმიანობის მომწესრიგებელი ნორმები. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ კანონის ცვლილებით განისაზღვრება რეგულაციები საქართველოს პროკურატურის წარმომადგენლებისათვის, როგორც ეს განსაზღვრულია საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულებისათვის, თავდაცვის ატაშესათვის, აგრეთვე საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებისა და საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებისათვის...სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილება ხორციელდება იმისათვის, რომ განისაზღვროს ევროჯასტში მეკავშირე პროკურორისა და მისი დამხმარის უფლებამოსილება, რათა შესაძლებელი იყოს სისხლის სამართლის სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობა განხორციელდეს მათი მეშვეობით, შესაბამისი საკანონმდებლო აქტების საფუძველზე.

3. საგარეო და საშინაო პოლიტიკა

ა) ევროპასთან ინტეგრაცია და საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტის წევრებმა და აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს ევროკავშირის პროექტის (EuropeAid/138575/DH/SER/GE) არაერთ ღონისძიებაში, რაც მიმართული იყო კომიტეტის საზედამხედველო საქმიანობის გაძლიერებისა და საქართველო-ევროკავშირის დაახლოების მიზნით.

საანგარიშო პერიოდში კომიტეტის მიერ განხილულ და პარლამენტის მიერ რატიფიცირებულ იქნა ევროკავშირის წევრ ქვეყნებთან საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ ხელშეკრულებები, რაც წარმოადგენს მნიშვნელოვან მექანიზმს ევროკავშირთან დაახლოების პროცესში. ასევე, კომიტეტის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს არაერთ ტრენინგში, რომლის ძირითად თემატიკას წარმოადგენდა ევროკავშირთან საკანონმდებლო ჰარმონიზაცია და ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულება.

ასევე, გამოსაყოფია საქართველოსა და ევროჯასტს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება, რომელიც მიზნად ისახავს გააძლიეროს თანამშრომლობა საქართველოსა და ევროჯასტს შორის მძიმე დანაშაულთან, განსაკუთრებით ორგანიზებული დანაშაულის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით. აღნიშნული შეთანხმების შედეგად, მიღებულ იქნა საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებმაც ხელი შეუწყო საქართველოსა და ევროკავშირის დაახლოებას უსაფრთხოების მიმართულებით.

ბ) მიღებული დადგენილებები, რეზოლუციები, რატიფიცირებული საერთაშორისო ხელშეკრულებები:

საანგარიშო პერიოდში კომიტეტმა განიხილა სულ 62 საერთაშორისო ხელშეკრულება და 8 დადგენილების პროექტი.

დადგენილებები:

- 1) „მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 29 დეკემბრის №236-რს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი. **/2019 წლის 2 აპრილი**
- 2) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი: „საქართველოს მთავრობისადმი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ფაკულტატიური ოქმის საქართველოსთვის შესასრულებლად სავალდებულოდ აღიარების მიზნით კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაწყების შესახებ საქართველოს პარლამენტის რეკომენდაციის თაობაზე“ **/2019 წლის 11 სექტემბერი/**
- 3) დადგენილების პროექტი: „საქართველოს ტერიტორიების ოკუპაციის საკითხის საერთაშორისო დღის წესრიგში აქტუალიზაციის თაობაზე“ **/2019 წლის 26 სექტემბერი/**
- 4) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს პარლამენტის, მოლდოვის რესპუბლიკის პარლამენტისა და უკრაინის ვერხოვნა რადას საპარლამენტო ასამბლეის შექმნის თაობაზე“ საქართველოს პარლამენტის 2018 წლის 21 სექტემბრის N3528-ის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **/2019 წლის 30 სექტემბერი/**
- 5) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 29 დეკემბრის N236-რს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ **/2019 წლის 30 სექტემბერი/**
- 6) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ათი წლის იუბილესთან და სამომავლო ხედვასთან დაკავშირებით“ **/2019 წლის 11 ნოემბერი/**
- 7) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების შემადგენლობის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს პარლამენტის 2016 წლის 29 დეკემბრის N236-რს დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე **/2019 წლის 20 დეკემბერი/**
- 8) საქართველოს პარლამენტის დადგენილების პროექტი „საქართველოს პარლამენტის მეგობრობის ჯგუფების შესახებ“ **/2019 წლის 20 დეკემბერი/**

საერთაშორისო ხელშეკრულებები და ოქმები:

- 1) შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულების (საქართველოს სოფლის მეურნეობის პროდუქციის

წარმოების/გადამუშავების/რეალიზაციის ჯაჭვი“ გათავისუფლების შესახებ“ წარმოდგენილი შეთანხმების მიხედვით გაუქმდა საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის 2016 წლის 9 დეკემბერს ხელმოწერილი ფინანსური ხელშეკრულების ფარგლებში გამოყოფილი სესხი.

- 2) „2010 წლის 18 თებერვლის „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (აჭარის მყარი ნარჩენების პროექტი)“ №2 ცვლილების“ თაობაზე. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2018 წლის 9 ნოემბერს. იგი ითვალისწინებს სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროექტის დასრულების ვადის გაგრძელებას 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.
- 3) სასესხო შეთანხმება „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (თბილისის მყარი ნარჩენების პროექტი)“ შეთანხმების მიხედვით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი გამოყოფს 15 მლნ. ევროს, რომელიც გადაეცემა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიას მყარი ნარჩენების მართვის მიზნით.
- 4) წერილი-შეთანხმება „2013 წლის 19 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 3) N2 ცვლილების“. ცვლილება №2 ითვალისწინებდა ბანკის მიერ დამტკიცებული პროექტის აღწერის ცვლილებას, კერძოდ, ანაკლიის ნაპირდაცვის პროექტის ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების გაუქმებას.
- 5) „2010 წლის 5 აგვისტოს „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 1)“ N5 ცვლილების" წერილი-შეთანხმება. #5 ცვლილების წერილი-შეთანხმება ითვალისწინებდა ანაკლიის ნაპირდაცვის პროექტის ფარგლებში დარჩენილი სამუშაოების გაუქმებას და თანხის გადანაწილებას თბილისის მეტროს რეაბილიტაციის პროექტის მიზნებისთვის და, ასევე, სასესხო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ კატეგორიებს შორის თანხების გადანაწილების ცვლილებას.
- 6) 2017 წლის 19 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5)“ N1 ცვლილების" წერილი შეთანხმება. წერილი-შეთანხმების №1 ცვლილების მიზანი იყო პროექტი 5-ის ფარგლებში გათვალისწინებული თბილისის მეტროს რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ღონისძიებების ნაწილის (სავენტიალაციო სისტემის გამოცვლა) დაფინანსება პროექტი 1-ის ფარგლებში არსებული დანაზოგით.
- 7) „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და მათი ბარგის გადაზიდვის შესახებ“ 1974 წლის ათენის კონვენციისა“ და „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და მათი ბარგის გადაზიდვის შესახებ“ ათენის 1974 წლის კონვენციის 1976 წლის ოქმის“ დენონსირების თაობაზე. „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და მათი ბარგის გადაზიდვის შესახებ“ 1974 წლის ათენის კონვენცია და 1976 წლის ოქმი ადგენენ მგზავრებისა და ბარგის გადაყვანა-გადაზიდვის დროს დამდგარ ზიანზე გემთმფლობელის ან ნებისმიერი პირის პასუხისმგებლობის საკითხს, რომელიც ახორციელებს ამ გადაყვანა-

გადაზიდვას. 2002 წელს ქათენში დიპლომატიურ კონფერენციაზე მიღებული იქნა მსგავსი დასახელების კონვენცია, რომელმაც გააფართოვა და დახვეწა წინა კონვენციებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის რეჟიმი, აგრეთვე განახორციელა ისეთი მნიშვნელოვანი დამატებები, როგორცაა სავალდებულო დაზღვევის ქონა სამგზავრო გემზე საზღვაო ავარიის დროს მგზავრებისთვის მიყენებული ზიანის ასანაზღაურებლად. შესაბამისად, საქართველოსთვის, როგორც ორი წინა ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოსთვის, დღის წესრიგში დადგა 1974 და 1976 წლის შეთანხმებების დენონსაციის საკითხი, შემდგომში 2002 წლის კონვენციასთან შეერთების მიზნით.

- 8) „ზღვით მგზავრების გადაყვანისა და მათი ბარგის გადაზიდვის შესახებ“ 2002 წლის ათენის კონვენციასთან“ შეერთების თაობაზე. 2002 წლის კონვენცია ადგენს პასუხისმგებლობას იმ ზარალისთვის, რომელიც დადგა გემით მგზავრთა გადაყვანის დროს, მგზავრის გარდაცვალების ან მისთვის მიყენებული ფიზიკური ზიანის შედეგად. ასევე იმ ზარალისთვის, რომელიც გამოიწვია ბარგის დაკარგვამ ან დაზიანებამ. აღნიშნული ზარალისთვის გადამყვან-გადამზიდველს დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ შემთხვევაში, თუ ინციდენტი, რომლის შედეგადაც დადგა ზარალი, გამოწვეულია გადამყვან-გადამზიდავის ბრალით, გაუფრთხილებლობით ან უმოქმედობით.
- 9) „საქართველოს მთავრობასა და ალბანეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმება. შეთანხმების თანახმად, მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან ერთმანეთთან თანამშრომლობის პროცესში შექმნილი ან გაცვლილი საიდუმლო ინფორმაცია. შეთანხმებით განსაზღვრულია ინფორმაციის გასაიდუმლოების ხარისხები, საიდუმლო ინფორმაციის გაზიარების და დაცვის, ასევე, მისი განადგურების პროცედურები, მხარეებსა და მათ კონტრაქტორებს შორის თანამშრომლობის დეტალური სქემა. საქართველოს მხრიდან აღნიშნულ პროცესში კომპეტენტურ მხარედ დასახელებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ხოლო ალბანეთის რესპუბლიკის მხრიდან - ალბანეთის საიდუმლო ინფორმაციის უსაფრთხოების დირექტორატი (ეროვნული უსაფრთხოების ორგანო).
- 10) „საქართველოს მთავრობასა და იტალიის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმება შეთანხმების მხარეები ისწრაფვიან გააღრმავონ თავიანთი პოლიტიკური, თავდაცვითი, უსაფრთხოების, სამართალდაცვითი, ეკონომიკური, სამეწარმეო და თანამშრომლობის სხვა სფეროები. მხარეები აღიარებენ თავიანთ იურისდიქციაში შემავალი საჯარო და კერძო სამართლის იურიდიული პირების მეშვეობით გაცვლილი ნებისმიერი საიდუმლო ინფორმაციის დაცვის უზრუნველყოფის ინტერესს და საერთო საჭიროებას, რა მიზნითაც, თანხმდებიან შექმნან მათ შორის გაცვლილი საიდუმლო ინფორმაციის ორმხრივად დაცვის მარეგულირებელი წესები თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად (იტალიის შემთხვევაში ევროკავშირის წევრობიდან და ნატოს წევრობიდან გამომდინარე ვალდებულებების შესაბამისად).

- 11) „საქართველოს მთავრობასა და მოლდოვას რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმება. შეთანხმების თანახმად, მხარეები იღებენ ვალდებულებას დაიცვან ერთმანეთთან თანამშრომლობის პროცესში შექმნილი ან გაცვლილი საიდუმლო ინფორმაცია. შეთანხმებით განსაზღვრულია ინფორმაციის გასაიდუმლოების ხარისხები, საიდუმლო ინფორმაციის გაზიარების და დაცვის, ასევე, მისი განადგურების პროცედურები, მხარეებსა და მათ კონტრაქტორებს შორის თანამშრომლობის დეტალური სქემა. საქართველოს მხრიდან აღწერილ პროცესში კომპეტენტურ მხარედ დასახელებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ხოლო მოლდოვის მხრიდან - მოლდოვის რესპუბლიკის უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახური.
- 12) „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრიალის პროცესის ფარგლებში საკოორდინაციო კომიტეტის შესახებ“ შეერთების თაობაზე შეთანხმება. შეთანხმებამ ჩაანაცვლა და დახვეწა იგივე შინაარსის 2000 წლის 9 ოქტომბრის შეთანხმება, რომლის მიხედვითაც არის შექმნილი სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრიალის საკოორდინაციო კომიტეტი, რომლის წევრსაც წარმოადგენს საქართველო. საქართველოს გარდა აღნიშნული კომიტეტის მხარეებს წარმოადგენენ ალბანეთი, ბულგარეთი, საბერძნეთი, იტალია, მაკედონია, რუმინეთი, თურქეთი, ბოსნია-ჟერჯევოვინა, ხორვატია, მონტენეგრო, სერბეთი, სლოვენია, უკრაინა, აშშ და მოლდავეთი. „სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის თავდაცვის მინისტრიალის პროცესის ფარგლებში საკოორდინაციო კომიტეტის შესახებ“ შეთანხმებით შექმნილი საკოორდინაციო კომიტეტის წევრობა ხელს უწყობს წევრ-ქვეყნებს შორის რეგიონულ თანამშრომლობას თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხებში, საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ინტეგრაციას და საქართველოსა და ხელშეშვრელ მხარეებს შორის ახლო პარტნიორული ურთიერთობების განმტკიცებას.
- 13) „საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თავდაცვის ფედერალურ სამინისტროს შორის სამხედრო სფეროში თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება. შეთანხმებით საქართველო და გერმანია თანხმდებიან ითანამშრომლონ ისეთ სფეროებში, როგორცაა - უსაფრთხოება და სამხედრო პოლიტიკა, შეიარაღებული ძალების ინტეგრაცია თავისუფალ და დემოკრატიულ საზოგადოებაში, შეიარაღებულ ძალებსა და სამხედრო კანონმდებლობასთან დაკავშირებული კონსტიტუციური დებულებები, შეიარაღებული ძალების შიდა სტრუქტურული ორგანიზაცია, შეიარაღების კონტროლის სამხედრო ასპექტები და სხვ. საქართველოსა და გერმანიას შორის თანამშრომლობა განხორციელდება თავდაცვის სამინისტროების მაღალი თანამდებობის პირების, ხელმძღვანელი სამხედრო და სამოქალაქო წარმომადგენლების ოფიციალური ვიზიტების განხორციელების გზით, სასწავლო კურსებს, პრაქტიკული ტრენინგების, სემინარებსა და სიმპოზიუმებში მონაწილეობით და სხვ.
- 14) „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ შეთანხმება. „საქართველოსა და ესპანეთის სამეფოს შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმებაში ცვლილებები

ითვალისწინებს საქართველოს მხრიდან პასუხისმგებელ ორგანოდ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის განსაზღვრას. აგრეთვე, შეთანხმებას დაემატა დებულება იმის თაობაზე, რომ მხარეებმა, დიპლომატიური არხების მეშვეობით, უნდა შეატყობინონ ერთმანეთს თავიანთი კომპეტენტური ორგანოების ნებისმიერი შემდგომი ცვლილება.

- 15) „საქართველოს მთავრობასა და კორეის რესპუბლიკის მთავრობას შორის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდიდან სესხების გამოყოფის შესახებ“ შეთანხმება. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2019 წლის 31 იანვარს ქ. სეულში. იგი წარმოადგენს ჩარჩო ხელშეკრულებას და ითვალისწინებს საქართველოსა და კორეას შორის ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ფონდიდან სესხების გამოყოფის ძირითად პრინციპებს.
- 16) „ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს პრივილეგიებისა და იმუნიტეტების შესახებ“ შეერთების თაობაზე შეთანხმება. შეთანხმება ითვალისწინებს სააგენტოსა და მისი თანამშრომლებისთვის გაეროს სხვა სპეციალიზებული ორგანოების მსგავსი პრივილეგიებისა და იმუნიტეტების მინიჭებას. კერძოდ, შეთანხმებით აღიარებულია ატომური ენერჯის საერთაშორისო სააგენტოს სამართლებრივი ქმედუნარიანობა (ქონების შექენის და განკარგვის უფლება, შეთანხმების დადების უფლება, სასამართლოში გამოსვლის უფლება), სააგენტოს ქონება, სახსრები და აქტივები სარგებლობს იმუნიტეტით სასამართლოს პროცესისაგან (გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც სააგენტო თავად თმობს ამ იმუნიტეტს) და ზოგადი ხელშეუხებლობით ჩხრეკის, კონფისკაციის და სხვა ამგვარი ქმედებისგან, ორგანიზაციის დოკუმენტები ხელშეუხებელია, სააგენტო თავისუფალია ნებისმიერი სახის ფინანსური კონტროლისგან, სააგენტოს მიერ გამართულ კონფერენციებზე მოწვეული წევრი სახელმწიფოების წარმომადგენლები სარგებლობენ საერთაშორისო დიპლომატიურ პრაქტიკაში დამკვიდრებული პრივილეგიებითა და იმუნიტეტებით, რომელიც ეხება მათ მიერ თავიანთი ფუნქციების განხორციელებას.
- 17) „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ „ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობაში მოქალაქეთა მიერ მონაწილეობის მიღების უფლების თაობაზე“ დამატებითი ოქმი. დამატებითი ოქმის (ე.წ. უტრეხტის ოქმი) მიზანია ხორცი შეახას „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ ევროპული ქარტიის“ პრეამბულაში აღიარებულ მოქალაქეთა უფლებას მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო საქმეების წარმართვაში, ვინაიდან აღნიშნული უფლება წარმოადგენს მოქალაქის ფუნდამენტურ უფლებას იყოს ჩართული საჯარო ცხოვრებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესში.
- 18) „საქართველოს მთავრობასა და თურქეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ლოჯისტიკის დარგში განსახორციელებელი“ ოქმი. ოქმის თანახმად თურქეთის რესპუბლიკის მხრიდან საქართველოსთვის განხორციელებული იქნება დახმარება 300 000 თურქული ლირის ექვივალენტური აშშ დოლარის ღირებულების სამხედრო აღჭურვილობით. აღნიშნული დახმარება განხორციელდება საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთვის მარნეულის აეროპორტის მოდერნიზაციის პროექტის განსახორციელებლად.

- 19) „საქართველოსა და სოფლის მეურნეობის განვითარების საერთაშორისო ფონდს შორის დაფინანსების (მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამა (Di) “ შეთანხმება. 2019 წლის 21 იანვარს ხელი მოეწერა „მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის პროგრამის“ დაფინანსების შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს IFAD-ის მიერ საქართველოსთვის 16 მლნ. ევროს ოდენობის სესხის გამოყოფას. პროგრამის მიზანია მერძევეობის პროდუქციის წარმოება/გადამუშავება/რეალიზაციის ჯაჭვის განვითარება.
- 20) „2014 წლის 13 მაისის „საქართველოს მთავრობასა და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის ფინანსური პროტოკოლის“ ცვლილების“ წერილი-შეთანხმება. ცვლილების წერილი-შეთანხმება ითვალისწინებდა ფრანგ მომწოდებლებსა და ქართველ მყიდველს შორის ხელმოწერილი კონტრაქტების რეგისტრაციის ვადის და საფრანგეთის ხაზინის მიერ გამოყოფილი სესხის ფარგლებში თანხების გამოთხოვის ვადის 2019 წლის 31 დეკემბრამდე გადაწევას.
- 21) „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს (EIB) შორის ფინანსური ხელშეკრულების (საქართველო აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალი II) ცვლილების“ წერილი-შეთანხმება. 2019 წლის 28 თებერვალს ხელი მოეწერა წარმოდგენილი ხელშეკრულების ცვლილების წერილი-შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ფინანსური ხელშეკრულების ტექნიკური აღწერისა და ანგარიშების წარდგენის ნაწილში ავტომაგისტრალის სიგრძის დაზუსტებას მათი განშტოებების მიხედვით.
- 22) „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური (საქართველოს სატრანსპორტო კომუნიკაცია II)“ ხელშეკრულება. 2019 წლის 19 თებერვალს ხელი მოეწერა საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსურ ხელშეკრულებას, რომლის მიხედვითაც ბანკი საქართველოს სესხის სახით გამოუყოფს 250 მლნ. ევროს სესხის სახით. აღნიშნული ფინანსური რესურსით მოხდება საავტომობილო გზების მშენებლობა/რეაბილიტაცია.
- 23) „2013 წლის 19 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 3)“ N3 ცვლილების“ წერილი-შეთანხმება. წარმოდგენილი ცვლილება #3 ითვალისწინებს სესხის დახურვის თარიღის გადაწევას 2021 წლის 29 მარტამდე.
- 24) „2016 წლის 15 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 6)“ N1 ცვლილების“ წერილი-შეთანხმება. 2019 წლის 27 მარტს ხელი მოეწერა ზემოაღნიშნული ხელშეკრულების #1 ცვლილების წერილი-შეთანხმებას. იგი ითვალისწინებს სესხის დახურვის თარიღის გადაწევას 2021 წლის 29 მარტამდე.
- 25) 2011 წლის 1 მარტის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის დაფინანსების ჩარჩო ხელშეკრულების (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა)“ N3 ცვლილების“ წერილი-შეთანხმება. 2019 წლის 27 მარტს ხელი მოეწერა ზემოაღნიშნული ჩარჩო ხელშეკრულების #3 ცვლილების წერილი-

შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს ჩარჩო ხელშეკრულების დახურვის თარიღის გადაწევას 2021 წლის 29 მარტამდე.

- 26) 2015 წლის 26 ოქტომბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5)“ და „2015 წლის 26 ოქტომბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5)“ N2 ცვლილების“ წერილი-შეთანხმება. წარმოდგენილი სასესხო ხელშეკრულებების ცვლილება #2-ს ითვალისწინებს სესხის დახურვის თარიღის გადაწევას 2021 წლის 29 მარტამდე.
- 27) „2015 წლის 5 თებერვლის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 4)“ N3 ცვლილების“ წერილი-შეთანხმება. წარმოდგენილი ცვლილება #3 ითვალისწინებს სესხის დახურვის თარიღის გადაწევას 2021 წლის 29 მარტამდე.
- 28) „2011 წლის 1 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 2)“ N5 ცვლილების წერილი-შეთანხმება. წარმოდგენილი ცვლილება #5 ითვალისწინებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დახურვის თარიღის გადაწევას 2021 წლის 29 მარტამდე.
- 29) 2011 წლის 10 მაისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 1)“ N6 ცვლილების“ წერილი-შეთანხმება. წარმოდგენილი სასესხო ხელშეკრულების ცვლილება #6-ს ითვალისწინებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის დახურვის თარიღის გადაწევას 2021 წლის 29 მარტამდე.
- 30) „საქართველოს მთავრობასა და საუდის არაბეთის სამეფოს მთავრობას შორის საჰაერო მიმოსვლის შესახებ“ შეთანხმება. შეთანხმება ავიასაწარმოებს საშუალებას აძლევს განახორციელონ საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლა საქართველოსა და საუდის არაბეთის ტერიტორიებზე არსებულ ნებისმიერ პუნქტებს შორის.
- 31) საქართველოს მთავრობასა და კვიპროსის რესპუბლიკის მთავრობას შორის საიდუმლო ინფორმაციის გაცვლისა და ორმხრივად დაცვის შესახებ“ შეთანხმება. შეთანხმება მიზნად ისახავს განამტკიცოს მჭიდრო პარტნიორული ურთიერთობები სააქართველოსა და კვიპროსის რესპუბლიკას შორის და შექმნას მყარი იურიდიული საფუძველი ორი ქვეყნის უწყებებს შორის საიდუმლო ინფორმაციასთან მოპყრობის სფეროში პირდაპირი და უსაფრთხო კომუნიკაციის სისტემის ჩამოყალიბებით. შეთანხმების თანახმად გაწერილია მხარეებსა და მათ კონტრაქტორებს შორის თანამშრომლობის პროცესში გაცვლილი/შექმნილი საიდუმლო ინფორმაციის პროცედურა, ასევე განსაზღვრულია, როგორც მხარეთა კომპეტენტური უწყებები, აგრეთვე, ინფორმაციის საიდუმლოების ხარისხები, ინფორმაციის გაცნობის, გაცვლის და დაცვის ზომები, უსაფრთხოების დარღვევის შემთხვევაში მისაღები ზომები.

- 32) „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2016 წლის 11 იანვრით დათარიღებული განვითარების მიზნის შესახებ საგრანტო შეთანხმების (მზარდად სტაბილური, ინტეგრირებული და ჯანსაღი საზოგადოება)“ ცვლილება ნომერი ოთხი“ შეთანხმება. საგრანტო შეთანხმების ცვლილება ნომერი ოთხი ითვალისწინებს USAID-ის მიერ გამოყოფილი ჯამური თანხის შესაძლებლობის ზრდას 11,6 მლნ. აშშ. დოლარიდან 13,9 მლნ. აშშ. დოლარამდე, გრანტის ოდენობის ზრდას დაახლოებით 7,3 მლნ. აშშ დოლარამდე და შესაბამისად საქართველოს თანამონაწილეობის ზრდას დაახლოებით 2,4 მლნ. აშშ. დოლარამდე.
- 33) „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2015 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული განვითარების მიზნის შესახებ საგრანტო შეთანხმების (ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდა)“ ცვლილება ნომერი ოთხი“ შეთანხმება. საგრანტო შეთანხმების ცვლილება ნომერი ოთხი ითვალისწინებს USAID-ის მიერ გამოყოფილი ჯამური თანხის შესაძლებლობის ზრდას 93,7 მლნ. აშშ. დოლარიდან 129,5 მლნ. აშშ. დოლარამდე, გრანტის მთლიანი ოდენობის ზრდას დაახლოებით 90,8 მლნ. აშშ დოლარამდე და შესაბამისად საქართველოს თანამონაწილეობის ზრდას დაახლოებით 30,3 მლნ. აშშ. დოლარამდე.
- 34) „ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოს შორის 2015 წლის 22 დეკემბრით დათარიღებული განვითარების მიზნის შესახებ საგრანტო შეთანხმების (დემოკრატიული კონტროლი და ბალანსი და ანგარიშვალდებული მმართველობა)“ ცვლილება ნომერი ოთხი“ საგრანტო შეთანხმების ცვლილება ნომერი ოთხი ითვალისწინებს USAID-ის მიერ გამოყოფილი ჯამური თანხის შესაძლებლობის ზრდას 42,8 მლნ. აშშ. დოლარიდან 50 მლნ. აშშ. დოლარამდე, საგრანტო ოდენობის გაზრდას დაახლოებით 36,1 მლნ. აშშ დოლარამდე და შესაბამისად საქართველოს თანამონაწილეობის ზრდას დაახლოებით 12 მლნ. აშშ. დოლარამდე.
- 35) „საქართველოსა და გაერთიანებული ერების ორგანიზაციას შორის „საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ“ 1994 წლის 1 ივლისის ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების პირობების საპროექტო მომსახურების გაეროს ოფისზე გავრცელების შესახებ“ წერილების გაცვლის გზით დადებული შეთანხმება. გაეროს გენერალური მდივნის მოადგილეს, იმავდროულად გაეროს საპროექტო მომსახურების ოფისის (UNOPS) აღმასრულებელ დირექტორსა და საქართველოს საგარეო მინისტრს შორის წერილების გაცვლის გზით დადებული შეთანხმების თანახმად, გაეროს საპროექტო მომსახურების ოფისსა და მის პერსონალზე გავრცელდება „საქართველოს რესპუბლიკასა და გაერთიანებული ერების განვითარების პროგრამას შორის დახმარების შესახებ“ 1994 წლის 1 ივლისის ძირითადი სტანდარტული ხელშეკრულების პირობები და UNDP-თვის მინიჭებული პრივილეგიები და იმუნიტეტები, რაც უზრუნველყოფს UNOPS-ის შეუფერხებელ და წარმატებულ საქმიანობას საქართველოში
- 36) „საქართველოსა (საქართველოს მთავრობა) და საფრანგეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის 2011 წლის 7 ოქტომბრის ფინანსური პროტოკოლის" №4 ცვლილების " წერილი-შეთანხმება. წარმოდგენილი მეოთხე ცვლილება ეხებოდა ფრანგ მომწოდებლებსა და ქართველ მყიდველს შორის ხელმოწერილი კონტრაქტების რეგისტრაციის ვადის და

საფრანგეთის ხაზინის მიერ გამოყოფილი სესხის და გრანტის ფარგლებში თანხების გამოთხოვის ვადის 2019 წლის 31 დეკემბრამდე გადაწევას.

- 37) „2016 წლის 9 დეკემბრის „საქართველოსა და ევროპის საინვესტიციო ბანკს შორის ფინანსური ხელშეკრულების (საქართველო სატრანსპორტო კომუნიკაციის პროექტი)“ ცვლილების“ წერილი-შეთანხმება. ფინანსური ხელშეკრულების მიხედვით პირველი ტრანშის მაქსიმალური ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 25 მლნ. ევროს, ხელშეკრულებაში საჭირო გახდა ცვლილებების შეტანა და ამგვარი ჩანაწერის ამოღება.
- 38) „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის (ენერგეტიკის სექტორის ღია პროგრამა)“ სასესხო შეთანხმება. 2019 წლის 14 ივნისს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას, რომლის საფუძველზეც KfW საქართველოს სესხის სახით გამოუყოფს 100 მლნ. ევროს 15 წლის ვადით, რომლითაც მოხდება ელექტროგადამცემი ქსელის სრული რეაბილიტაცია კახეთის რეგიონში და განხორციელდება ტრანსსასაზღვრო ინფრასტრუქტურის მშენებლობა.
- 39) „საქართველოსა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ენერგომომარაგების საიმედოობისა და ფინანსური გაჯანსაღების პროექტი)“ შეთანხმება. 2019 წლის 18 ივნისს ხელი მოეწერა სასესხო შეთანხმებას ენერგომომარაგების საიმედოობისა და ფინანსური გაჯანსაღების პროექტის განხორციელების მიზნით. პროექტის ფარგლებში გამოიყოფა 62 მლნ. ევრო 25 წლის ვადით ენერგეტიკის სფეროში განსახორციელებელი ღონისძიებებისთვის.
- 40) „საქართველოსა და რეკონსტრუქციის და განვითარების საერთაშორისო ბანკს შორის სასესხო შეთანხმება (ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი - საქართველო I2Q)“ შეთანხმება. სესხის ფარგლებში დაფინანსდება „ინოვაციის, ინკლუზიურობის და ხარისხის პროექტი-საქართველო I2Q“, რომლის მიზანია განათლებაზე წვდომის გაფართოება და სასწავლო გარემოს ხარისხის გაუმჯობესება.
- 41) „2016 წლის 28 მარტის „საქართველოსა და რეკონსტრუქციისა და განვითარების საერთაშორისო ბანკს (IBRD) შორის სასესხო ხელშეკრულების (ეროვნული ინოვაციური ეკოსისტემის პროექტი)“ პირველი ცვლილების წერილი-შეთანხმება. სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიმართვისა და საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე წარმოდგენილ შეთანხმებაში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც სესხის მთლიანი თანხა მცირდება 16,5 მლნ აშშ დოლარით, ხოლო პროექტს ემატება „გამოყენებითი კვლევების გრანტების“ კომპონენტი, რომელზეც მთლიანად პასუხისმგებელი იქნება შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი.
- 42) „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ, („მსესხებელი“) შორის (პროფესიული განათლების პროგრამა 1)“ სასესხო შეთანხმება. პროგრამის ფარგლებში ბანკი საქართველოს გამოუყოფს 20 მლნ. ევროს სესხის სახით, ხოლო 3 მლნ. ევროს გრანტის სახით. სესხის ფარგლებში გათვალისწინებულია პროფესიული კოლეჯის მშენებლობა, მისი ლოგისტიკის სექტორის განვითარება საკლასო ოთახებისა და სახელოსნოების აღჭურვის ჩათვლით.

- 43) „2017 წლის 12 ივნისის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ბათუმის შემოვლითი გზის პროექტი)“ №1 ცვლილების წერილ-შეთანხმება“ სასესიო შეთანხმება. საქართველოს მთავრობის განკარგულებით შეთანხმებაში შედის ცვლილება, რომლის მიხედვითაც პროექტის აღწერილობით ნაწილს ემატება ახალი პუნქტი. იგი მოიცავს ბათუმის შემოვლითი-სარფი მონაკვეთის დეტალური პროექტირების, გარემოზე ზემოქმედების შეფასების, მიწის შესყიდვის, განსახლების გეგმის და სატენდერო დოკუმენტაციას.
- 44) „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზის პროექტი)“ სასესიო შეთანხმება. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2019 წლის 27 აგვისტოს. იგი ითვალისწინებს აზიის განვითარების ბანკის მიერ საქართველოსთვის დაახლოებით 370 მლნ. ევროს ოდენობის სესხის გამოყოფას 26 წლის ვადით. აღნიშნული ფინანსური რესურსით დაფინანსდება ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანზე ქვეშეთი-კობის 23 კილომეტრიანი შემოვლითი საავტომობილო გზის მშენებლობა.
- 45) „საქართველოს მთავრობასა და ყაზახეთის რესპუბლიკის მთავრობას შორის საერთაშორისო საავტომობილო მიმოსვლის შესახებ“ 2007 წლის 6 მარტის შეთანხმებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ რატიფიცირების თაობაზე“ ოქმი. ოქმის დებულებათა თანახმად იცვლება „კომპეტენტური ორგანოს“ განმარტება, რომლის მიხედვითაც გასწორდება საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დასახელება და ემატება „სახელმეთო სატრანსპორტო სააგენტო, ან საავტომობილო ტრანსპორტზე პასუხისმგებელი სხვა შესაბამისი ორგანოები“. აგრეთვე, ცვლილება შედის ტერმინებში „ნებართვა“ და „სახიფათო ტვირთი“, რითიც ხდება მათი ტერმინოლოგიური დახვეწა. ძირითად შეთანხმებას ემატება „სპეციალური ნებართვის“ განმარტება, რომლის თანახმადაც ის წარმოადგენს დოკუმენტს მსხვილგაბარიტიანი, მძიმეწონიანი და სახიფათო ტვირთების გადასაზიდად, რომელიც გაიცემა შესაბამისი სახელმწიფოს კანონმდებლობის თანახმად. მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ოქმის მიხედვით ძირითადი შეთანხმების მე-6 მუხლის ცვლილება, რომლის თანახმადაც მხარეთა ტერიტორიაზე და მესამე სახელმწიფოებში/დან საავტომობილო მიმოსვლა დაექვემდებარება ნებართვების სისტემას (გარდა მითითებული გამონაკლისი შემთხვევებისა, რომლებიც ეხება სპორტული ღონისძიებების ინვენტარის, თეატრალური დეკორაციების და სხვ. გადატანა-გადაზიდვას). აქვე აღწერილია ნებართვების გაცემის წესები და პირობები.
- 46) „საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის მგზავრებისა და ტვირთების საერთაშორისო საავტომობილო ტრანსპორტირების შესახებ“ შეთანხმება. შეთანხმებას ხელი მოეწერა ქ. პეკინში 2019 წლის 27 აპრილს. იგი ითვალისწინებს სატვირთო და საავტომობილო გადაზიდვების განხორციელებას კვოტირებული ნებართვის საფუძველზე, რომელსაც მხარეები ყოველწლიურად განსაზღვრავენ ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.
- 47) „საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის სტრატეგიული პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ“ შეთანხმება. შეთანხმების მიზანია შექმნას საქართველოსა და დიდი ბრიტანეთისა და

ჩრდილოეთ ირლანდიის გაერთიანებულ სამეფოს შორის თანამშრომლობის იურდიული ჩარჩო, რითაც ჩაანაცვლებს 2014 წლის 27 ივნისს, ქ. ბრიუსელში, ხელმოწერილ „ერთის მხრივ, საქართველოსა და მეორეს მხრივ, ევროკავშირს და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებას და მათ წევრ სახელმწიფოებს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმებას“ დიდი ბრიტანეთის მიერ ევროკავშირის დატოვების პროცედურების დასრულების შემდეგ.

- 48) „ზეთისხილის ზეთისა და სუფრის ზეთისხილის შესახებ“ საერთაშორისო კონვენციის შეერთების თაობაზე“ შეთანხმება.
- 49) „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის საკრედიტო შეთანხმება. ენერჯეტიკის სფეროში დაგეგმილი რეფორმების მხარდასაჭერად საფრანგეთის განვითარების სააგენტო საქართველოსთვის სესხის სახით გამოყოფს 60 მლნ. ევროს 20 წლის ვადით (მათ შორის 6 წელი შეღავათიანი). აღნიშნული თანხა წარმოადგენს ბიუჯეტის მხარდასაჭერ სესხს, რომელიც პირდაპირ მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში.
- 50) „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა („KFW“), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის (პოლიტიკაზე დაფუძნებული სესხი II)“ სასესხო შეთანხმება. ენერჯეტიკის სფეროში დაგეგმილი რეფორმების მხარდასაჭერად რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკი საქართველოსთვის სესხის სახით გამოყოფს 60 მლნ. ევროს 15 წლის ვადით (მათ შორის 5 წელი შეღავათიანი). აღნიშნული თანხა წარმოადგენს ბიუჯეტის მხარდასაჭერ სესხს, რომელიც პირდაპირ მიიმართება სახელმწიფო ბიუჯეტში.
- 51) „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (ჩრდილოეთ-სამხრეთ დერეფნის (ქვეშეთი-კობი) გზა)“ სასესხო შეთანხმება. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2019 წლის 11 ოქტომბერს. იგი ითვალისწინებს ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ საქართველოსთვის დაახლოებით 53,4 მლნ. ევროს ოდენობის სესხის გამოყოფას, რომლითაც დაფინანსდება ჩრდილოეთ-სამხრეთის დერეფანზე ქვეშეთი-კობის 23 კილომეტრიანი შემოვლითი საავტომობილო გზის მშენებლობა.
- 52) „საქართველოსა და SOCIETE GENERALE-ს შორის „BPI AE საკრედიტო ხაზის შეთანხმება“ (Thales LAS France ნასყიდობის ხელშეკრულება)“. 2019 წლის 31 ოქტომბერს ხელი მოეწერა საქართველოსა და SOCIETE GENERALE-ს შორის BPI AE საკრედიტო ხაზის შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ფრანგული მხარის მიერ საქართველოსთვის სესხის სახით დაახლოებით 16,4 მლნ ევროს გამოყოფას.
- 53) „საქართველოსა და SOCIETE GENERALE-ს შორის „ზოგადი პირობების შეთანხმება“. 2019 წლის 31 ოქტომბერს ხელი მოეწერა საქართველოსა და SOCIETE GENERALE-ს შორის ზოგადი პირობების შეთანხმებას, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს თავდაცვის ძალების შესაძლებლობების გაძლიერების მიზნით ფრანგული მხარის მიერ საქართველოსთვის კრედიტის გამოყოფის ზოგად პირობებს.
- 54) 2015 წლის 26 ოქტომბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (სპეციალური ოპერაციები) (ურბანული მომსახურების

გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5)“ N3 ცვლილების წერილ-შეთანხმება“. აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების ცვლილება #3 ითვალისწინებს პროექტის განხორციელების ფარგლებში წარმოშობილი დანაზოგით (8 მლნ. აშშ. დოლარი) სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას, კერძოდ: ქუთაისის წყალმომარაგების სისტემების მშენებლობის პროექტის ფარგლებში საჭირო აპარატურის შეძენას, ხოლო მე-3 პროექტში გათვალისწინებული თელავის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებისა და ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის კომპონენტის მე-5 პროექტში დამატებას.

55) 2015 წლის 26 ოქტომბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო ხელშეკრულების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 5)“ N3 ცვლილების წერილ-შეთანხმება“. აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების ცვლილება #3 ითვალისწინებს პროექტის განხორციელების ფარგლებში წარმოშობილი დანაზოგით (8 მლნ. აშშ. დოლარი) სხვადასხვა ღონისძიებების დაფინანსებას, კერძოდ: ქუთაისის წყალმომარაგების სისტემების მშენებლობის პროექტის ფარგლებში საჭირო აპარატურის შეძენას, ხოლო მე-3 პროექტში გათვალისწინებული თელავის წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოებისა და ზუგდიდის წყალმომარაგების სისტემების მშენებლობა-რეაბილიტაციის კომპონენტის მე-5 პროექტში დამატებას.

56) „2016 წლის 15 დეკემბრის „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის სასესხო შეთანხმების (ჩვეულებრივი ოპერაციები) (ურბანული მომსახურების გაუმჯობესების საინვესტიციო პროგრამა - პროექტი 6)“)“ N2 ცვლილების წერილ-შეთანხმება“აღნიშნული სასესხო ხელშეკრულების ცვლილება #2 ითვალისწინებს პროექტის განხორციელების ფარგლებში წარმოშობილი დანაზოგით (4 მლნ. აშშ. დოლარი) ჭიათურის, ბაკურიანისა და მიტარბის წყალმომარაგებისა და წყალარინების ტექნიკური-ეკონომიკური კვლევებისა და დეტალური დიზაინის დაფინანსებას.

57) „რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KfW), მაინის ფრანკფურტი, და საქართველოს, წარმოდგენილს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ („მსესხებელი“), შორის სასესხო შეთანხმება (ბათუმის კომუნალური წყლის ინფრასტრუქტურა). სასესხო შეთანხმებას ხელი მოეწერა 2019 წლის 7 ოქტომბერს. იგი ითვალისწინებს KfW-ს მიერ საქართველოსთვის 60 მლნ. ევროს ოდენობის სესხის გამოყოფას 15 წლის ვადით (მათ შორის 5 წელი შეღავათიანი). აღნიშნული თანხა მოხმარდება ქალაქ ბათუმის შემოერთებული ტერიტორიების - ხელვაჩაურის, მეჯინისწყლის, კახაბერის, ადლია-აეროპორტის, მახინჯაურისა და მწვანე კონცხის დასახლების წყალარინების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას;

58) „საქართველოსა და აზიის განვითარების ბანკს შორის (ჩვეულებრივი ოპერაციები) აღმოსავლეთ-დასავლეთ მაგისტრალის (შორაპანი არგვეთას მონაკვეთი) გაუმჯობესების პროექტის რატიფიცირების თაობაზე“ სასესხო შეთანხმება. შეთანხმებას ხელი მოეწერა 2019 წლის 27 ნოემბერს. იგი ითვალისწინებს ბანკის მიერ 255,1 მლნ. ევროს ოდენობის სესხის გამოყოფას აღმოსავლეთ-დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის შორაპანი-არგვეთას 4 ზოლიანი საავტომობილო გზის მშენებლობის დასაფინანსებლად.

- 59) „საფრანგეთის განვითარების სააგენტოსა (გამსესხებელი) და საქართველოს (მსესხებელი) შორის რატიფიცირების თაობაზე“ საკრედირო შეთანხმება. აღნიშნული შეთანხმება ითვალისწინებს ფინანსური რესურსის გამოყოფას (35 მლნ. ევრო), რომელიც პირდაპირ მიიღარება სახელმწიფო ბიუჯეტში შემდეგი ღონისძიებების განსახორციელებლად: სოციალური მხარდაჭერისა და სოლიდარობის სისტემის განვითარება, ხელმისაწვდომი და ხარისხიანი ჯანდაცვის უზრუნველყოფა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის გამოყოფილი რესურსების ოპტიმიზაცია, განსახლების პროგრამის დაჩქარება, ცნობიერების ამაღლება.
- 60) „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (საქართველოს ურბანული ტრანსპორტის გაუმჯობესების პროგრამა)“ სასესხო შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) საქართველოს სესხის სახით გამოუყოფს 17 მლნ. ევროს, რომელიც მოხმარდება საქართველოს ექვსი დიდი ქალაქისთვის დიზელის საწვავზე მომუშავე ავტობუსების შეძენას.
- 61) „საქართველოსა და ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკს შორის (თბილისის ავტობუსების პროექტის გაგრძელება)“ სასესხო შეთანხმება. შეთანხმების მიხედვით ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD) საქართველოს სესხის სახით გამოუყოფს 80 მლნ. ევროს, რომელიც მოხმარდება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიისათვის ახალი, ეკოლოგიურად ეფექტური და გაზზე მომუშავე ავტობუსების შეძენას.
- 62) „საქართველოს მთავრობას და უკრაინის მთავრობას შორის „საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას და უკრაინის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ“ 1995 წლის 9 იანვრის შეთანხმებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ რატიფიცირების თაობაზე ოქმი. ოქმს ხელი მოეწერა 2019 წლის 21 მაისს ქ. კიევში. იგი ითვალისწინებს საქართველოსა და უკრაინის მიერ დიაგონალური კუმულაციის მეთოდის ამოქმედებას.

გ) საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტები

- 1) 2019 წლის თებერვალი: სოფიო ქაცარავას ვიზიტი რუმინეთში. შეხვედრები გაიმართა რუმინეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან, რუმინეთის სენატის და წარმომადგენელთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარეებთან, რა დროსაც განხილულ იქნა ორმხრივ ურთიერთობებში არსებული მიმართულებები, საპარლამენტო კავშირების გაძლიერება, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება, საქართველოს ევროკავშირსა და ნატოში ინტეგრაციის საკითხები და სხვა.
- 2) 2019 წლის თებერვალი: სოფიო ქაცარავას ვიზიტი ავსტრიაში, ქ.ვენა. სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ზამთრის სესიაში, სადაც დელეგაციის წევრებთან ერთად გამართა შეხვედრები წევრი ქვეყნების დელეგაციებთან, მონაწილეობა მიიღო საკომიტეტო მოსმენებსა და ღონისძიებებში, ასევე, სესიის პლენარულ სხდომაზე სიტყვით გამოვიდა, სადაც ისაუბრა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ ვითარებაზე.

- 3) 2019 წლის აპრილი. სოფიო ქაცარავას ვიზიტი აშშ-ში. ვიზიტის ფარგლებში, სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო გლობალურ საპარლამენტო კონფერენციაში, გამართა შეხვედრები აშშ-ს კონგრესისა და სენატის ასევე, აღმასრულებელი ხელისუფლების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან, სადაც შეხვედრების მთავარი თემა იყო საქართველო-აშშ-ს შორის მჭიდრო ორმხრივი ურთიერთობები, ნატო-ში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ განხორციელებული რეფორმები, საქართველოს სუვერენიტეტი და ოკუპირებული ტერიტორიები და იქ არსებული ვითარება, საკანონმდებლო ორგანოებს შორის ურთიერთობების გაძლიერება და ჰიბრიდული საფრთხეები. სოფიო ქაცარავამ ასევე მონაწილეობა მიიღო ატლანტიკური საბჭოს მხადრაქერით საქართველოს საელჩოს მიერ გამართულ ქართული პარლამენტარიზმის 100 წლის იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაში და სიტყვით მიმართა დამსწრე საზოგადოებას.
- 4) 2019 წლის მაისი. სოფიო ქაცარავას ვიზიტი გერმანიაში. ვიზიტის ფარგლებში მან მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის ფარგლებში ჩატარებულ სემინარში, სადაც განხილვის მთავარ თემას წარმოადგენდა კონფლიქტების მშვიდობიანი გადაჭრის გზები, სადაც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და კონფლიქტის მშვიდობიანი გადაჭრის გზებზე.
- 5) 2019 წლის ივნისი. სოფიო ქაცარავას ვიზიტი სლოვაკეთში. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა გლობალური უსაფრთხოების ბრატისლავას ფორუმში GLOBSEC 2019, სადაც სიტყვით გამოვიდა პანელზე „რუსეთი და დასავლეთი“ და ისაუბრა ისეთ საკითხებზე, როგორც არის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, ევროპული უსაფრთხოება, ნატო-ს ღია კარის პოლიტიკა და ევროკავშირის გაფართოების პოლიტიკა. ვიზიტის ფარგლებში მან გამართა შეხვედრები ამერიკის სენატორებთან, სლოვაკეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა და ევროპულ საქმეთა კომიტეტების თავმჯდომარეებთან, სლოვაკეთის საგარეო და ევროპულ საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო მდივნებთან, GLOBSEC-ის სტრატეგიული კომუნიკაციების წარმომადგენელთან და ფორუმში მონაწილე სხვა პირებთან.
- 6) 2019 წლის ივნისი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის და პირველი მოადგილის ვიზიტი ჩეხეთში. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციამ გამართა შეხვედრები ჩეხეთის პარლამენტის საგარეო, თავდაცვის და უსაფრთხოების, ასევე ევროკავშირის კომიტეტების თავმჯდომარეებთან, სადაც საუბრის მთავარ თემას წარმოადგენდა საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები, უსაფრთხოება, ჰიბრიდული საფრთხეები, სტრატეგიული კომუნიკაციები, ვიშეგრადის ფორმატში საქართველოს ჩართვის შესაძლებლობა და სხვა.
- 7) 2019 წლის ივნისი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტი საფრანგეთში. დელეგაციასთან ერთად ვიზიტის ფარგლებში მან მონაწილეობა მიიღო ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში და სიტყვით მიმართა მონაწილეებს. მან გამოსვლაში ისაუბრა რუსეთის აგრესიულ ქმედებებზე, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და ევროპულ უსაფრთხოებაზე.

- 8) 2019 წლის ივლისი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო ქაცარავას ხელმძღვანელობით ეუთოს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის ვიზიტი ლუქსემბურგში. დელეგაციამ მონაწილეობა მიიღო ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეის საგაზაფხულო სესიის მუშაობაში, სადაც ყველა ფორმატი იქნა გამოყენებული საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე და რუსეთის მიერ განხორციელებულ დესტრუქციულ ქმედებებზე სასაუბროდ. ასევე, სოფიო ქაცარავას ინიცირებით, ხმათა უმრავლესობით მიღებულ იქნა რეზოლუცია „უსაფრთხოება და ადამიანის უფლებები აფხაზეთში და ცხინვალის რეგიონში“, რომელიც ასახავს უსაფრთხოების და ადამიანის უფლებების მძიმე მდგომარეობას ოკუპირებულ ტერიტორიებზე, რომლის მიხედვით ასამბლეა მოუწოდებს რუსეთის ფედერაციას დაიცვას საერთაშორისო ნორმები და სამართალი.. ამის გარდა, ეუთო-ს ფარგლებში გაკეთდა არაერთი საქართველოს მხარდამჭერი განცხადება სხვადასხვა ქვეყნის დელეგაციების მხრიდან.
- 9) 2019 წლის ივლისი. სოფიო ქაცარავას ვიზიტი აზერბაიჯანის რესპუბლიკაში. ბაქოში გაიმართა საქართველო-აზერბაიჯანი-თურქეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტების სამმხრივი შეხვედრა, სადაც მხარეებმა განიხილეს რეგიონში მიმდინარე პროცესები, თანამშრომლობის საკითხები და გამოწვევები. ვიზიტის ფარგლებში, სოფიო ქაცარავამ გამართა შეხვედრები აზერბაიჯანის პარლამენტის თავმჯდომარესთან, საგარეო საქმეთა მინისტრთან და აზერბაიჯანის პარლამენტში საქართველოს მეგობრობის ჯგუფთან.
- 10) 2019 წლის ოქტომბერი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტი პოლონეთში. ვიზიტის ფარგლებში, სოფიო ქაცარავამ მონაწილეობა მიიღო ვარშავის უსაფრთხოების ფორუმში სადაც სიტყვით მიმართა მონაწილეებს. თავის გამოსვლაში მან ისაუბრა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფარგლებში ბოლო წლებში მიღწეულ შედეგებზე, სამომავლო ხედვებზე და მოლოდინებზე და ევროკავშირში ინტეგრაციის გზაზე საქართველოს მიერ განხორციელებულ რეფორმებზე. ვიზიტის ფარგლებში სოფიო ქაცარავამ გამართა შეხვედრები ამერიკელ კონგრესმენებთან, გერმანიის ფედერალური ოფისის პოლიტიკურ დირექტორთან, აშშ-ს ცენტრალური სადაზვერვო სააგენტოს ყოფილ დირექტორთან, თურქეთის პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, პოლონეთის სეიმის ვიცე-მარშალთან, პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილესთან და პოლონეთში მცხოვრებ ქართველ სტუდენტებთან, სადაც საუბარი ძირითადად შეეხებოდა უსაფრთხოების გამოწვევებს, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებს და საქართველოს საგარეო პოლიტიკის სხვა პრიორიტეტებს.
- 11) 2019 წლის ოქტომბერი. ნატო-ს საპარლამენტო დელეგაციასთან ერთად საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ვიზიტი დიდ ბრიტანეთში. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციასთან ერთად მან მონაწილეობა მიიღო ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის მუშაობაში და გამართა შეხვედრები ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტთან. ასევე, ვიზიტის ფარგლებში გაიმართა „უორდროპის სტრატეგიული დიალოგის“ საპარლამენტო განზომილების ფარგლებში შეხვედრები დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, დიდი ბრიტანეთის პარლამენტში საქართველოს საკითხებზე

პარტიათაშორისი საპარლამენტო ჯგუფის ხელმძღვანელთან, საგარეო და თანამეგობრობის ოფისის წარმომადგენელთან და გაერთიანებული სამეფოს სამეცნიერო კვლევითი ცენტრის (Chatham House) რუსეთისა და ევრაზიის პროგრამის ხელმძღვანელთან.

- 12) 2019 წლის ნოემბერი. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის სოფიო ქაცარავას ვიზიტი გერმანიაში. ვიზიტის ფარგლებში მან მონაწილეობა მიიღო კონფერენციაში „30 წელი ბერლინის კედლის დაცემიდან“ სადაც სიტყვით მიმართა მონაწილეებს. ვიზიტის ფარგლებში მან გამართა შეხვედრები ბუნდესტაგის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარესთან, კომიტეტში არსებული სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის ხელმძღვანელთან, საგარეო საქმეთა სამინისტროს პოლიტიკურ დირექტორთან, ბუნდესტაგის ევროკავშირის საკითხთა ქვეკომიტეტის თავმჯდომარესთან, ეუთო-ს საპარლამენტო ასამბლეაში გერმანიის დელეგაციის ხელმძღვანელთან, ბუნდესტაგის წევრებთან და კონრად ადენაურერის ფონდის მმართველი საბჭოს წევრებთან. შეხვედრებზე განხილვის მთავარ თემებს წარმოადგენდა ორმხრივი ურთიერთობები, ქვეყანაში განხორციელებული რეფორმები, ევროპული და ევროატლანტიკური ინტეგრაცია, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები და სხვა.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე პარლამენტის თავმჯდომარესთან ერთად ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა ლიეტუვაში, საფრანგეთში, ბულგარეთში და პოლონეთში. ასევე, პრემიერ-მინისტრის დელეგაციასთან ერთად ბულგარეთში და პრეზიდენტის დელეგაციასთან აშშ-ში, გაეროს გენერალურ ასამბლეაზე.

- 13) 2019 წლის 26 – 27 ნოემბერს, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარე - ირაკლი ბერაია სამუშაო ვიზიტით სტრასბურგში ევროპარლამენტს ეწვია, სადაც შეხვედრა გამართა სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფების წარმომადგენელ ევროპარლამენტარებთან. შეხვედრებზე განსახილველ ძირითად საკითხს წარმოადგენდა საქართველოში 2019 წლის ნოემბერში განვითარებული მოვლენები.
- 14) 2019 წლის 2-7 დეკემბერი საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბერიას ვიზიტი ქ.ვაშინგტონში, აშშ. ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ბერიამ მონაწილეობა მიიღო აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის თავდაცვისა და უსაფრთხოების სამუშაო ჯგუფის შეხვედრაში და გამართა შეხვედრები, კონგრესმენებთან, საქართველოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის თანათავმჯდომარესთან და აშშ-ს წარმომადგენელთა პალატის დემოკრატიული პარტნიორობის აღმასრულებელ დირექტორთან და აპარატის უფროსთან. შეხვედრებზე განხილვის მთავარ თემებს წარმოადგენდა თავდაცვის და უსაფრთხოების საკითხები, საქართველოში მიმდინარე და განხორციელებული რეფორმები, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება და რუსეთის აგრესიული ქმედებები, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები და სხვა.
- 15) 2019 წლის 14-19 დეკემბერი, საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ბერიას და საპარლამენტო დელეგაციის ვიზიტი ქ.ვაშინგტონში, აშშ. ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ბერიამ თავის კოლეგებთან ერთად გამართა მაღალი დონის

შეხვედრები კონგრესმენებთან, სენატორებთან, საქართველოს პარლამენტთან მეგობრობის ჯგუფის თანათავმდგომარესთან, აშშ-ში მოქმედ ანალიტიკურ ცენტრებთან (NED, IFES, NDI, IRI) და სხვა ორგანიზაციებთან. შეხვედრებზე განხილვის მთავარ საკითხებს წარმოადგენდა აშშ-საქართველოს წარმატებული სტრატეგიული ურთიერთობები და თანამშრომლობის ფარგლებში არსებული პრიორიტეტული მიმართულებები, საქართველოში განხორციელებული რეფორმები, საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები, საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული მძიმე ვითარება, ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები, ნატო-ს კუთხით საქართველოს მიერ გადადმული ნაბიჯები, სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები,

დ) სხვა აქტივობები

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში, კომიტეტის თავმჯდომარემ გამართა 18 შეხვედრა ელჩებთან და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებთან, ასევე, 27-მდე შეხვედრა საქართველოში ვიზიტად მყოფ სხვადასხვა ქვეყნის და საერთაშორისო ორგანიზაციის ოფიციალური დელეგაციების წარმომადგენლებთან.

2019 წლის განმავლობაში კომიტეტის თავმჯდომარემ მონაწილეობა მიიღო 10-მდე ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციაში და გამართა 10-მდე შეხვედრა სტუდენტებთან და სკოლის მოსწავლეებთან, მათ შორის ილიაუნის, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის, ბრიტანეთის თავდაცვის კოლეჯის, სტუდენტური პარლამენტის და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან, მაღალმთიანი აჭარის სკოლის მოსწავლეებთან და მასწავლებლებთან და კანტის აკადემიის მსმენელებთან.

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტში გაიმართა 60-მდე სამუშაო შეხვედრა აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლებთან, ექსპერტებთან, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საზღვარგარეთ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობების ხელმძღვანელებთან.

თემატური მოკვლევა:

1. საქართველოს რეგლამენტის 155 მუხლის შესაბამისად დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე არსებული გამოწვევების შესასწავლად თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნისა და მომხსენებლის არჩევის საკითხი; **(2019 წლის 11 თებერვალი)**
2. საქართველოს რეგლამენტის 155-ე მუხლის შესაბამისად დეზინფორმაციისა და პროპაგანდის საკითხებზე ევროპული ქვეყნების გამოცდილების შესასწავლად თემატური მოკვლევის ჯგუფის შექმნისა და მომხსენებლის არჩევის საკითხი. **(2019 წლის 4 ივნისი)**

თემატური მოკვლევის ჯგუფების მთავარ მიზანს წარმოადგენდა დეზინფორმაციის და პროპაგანდის საკითხებზე ქვეყანაში არსებული ძირითადი გამოწვევების და პრობლემების გამოკვლევა და გაანალიზება. მოკვლევის პროცესში მიღებული დასაბუთებული მოსაზრებების საფუძველზე, დოკუმენტურად დადასტურებული დასკვნის მომზადება. ასევე,

საკითხზე აღმასრულებელი ხელისუფლების საქმიანობის გაუმჯობესების მიზნით, რეკომენდაციების პროექტის მომზადება და დასამტკიცებლად საგარეო ურთიერთობათა კომიტეტისთვის წარდგენა.

4. საზედამხედველო უფლებამოსილება

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტში გაიმართა შემდეგი მოსმენები:

მოსმენები: ღონისძიებები

მინისტრების და მთავრობის წევრების მოსმენები:

1. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებზე არსებული ვითარება, არაღიარების პოლიტიკა, ჟენევის საერთაშორისო მოლაპარაკებები, SGS, აბაშიძე კარასინის ფორმატი და აღნიშნულ თემებთან დაკავშირებული სხვა საკითხები; **(2019 წლის 4 მარტი) მომხსენებლები: საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ლაშა დარსალია და საქართველოს პრემიერ-მინისტრის სპეციალური წარმომადგენელი რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში - ზურაბ აბაშიძე; (დახურული)**
2. 2019-2022 წლების საქართველოს საგარეო პოლიტიკის სტრატეგიის წარდგენა; ევროინტეგრაციის საკითხებზე საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ანგარიში, მათ შორის: ასოცირების შეთანხმების განხორციელების და კოორდინაციის მექანიზმი და შესრულების მდგომარეობა; ინფორმაცია ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების საბჭოს მეხუთე სხდომის შედეგების შესახებ; ინფორმაცია საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის საგზაო რუკის შესახებ; ინფორმაცია შენგენის ზონის ქვეყნებთან საქართველოს უვიზო მიმოსვლის მიმდინარეობის შესახებ. **(2019 წლის 14 მარტი). მომხსენებელი: საგარეო საქმეთა მინისტრი - დავით ზალკალიანი;**
3. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომიტეტების მიერ საქართველოს მიმართ გამოტანილი გადაწყვეტილებების აღსრულების მდგომარეობის შესახებ 2018 წლის ანგარიში **(N1-6107/19; 27.03.2019) (2019 წლის 24 აპრილი). მომხსენებელი: იუსტიციის მინისტრის მოადგილე - გოჩა ლორთქიფანიძე;**
4. ეკონომიკური დიპლომატია: 2018 წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობა და სამომავლო ნაბიჯები; **(2019 წლის 7 მაისი) მომხსენებელი: საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე - ალექსანდრე ხეთისიაშვილი;**
5. ინფორმაცია „ძირითადი მაკროეკონომიკური პროგნოზებისა და საქართველოს სამინისტროების ძირითადი მიმართულებების შესახებ. **(07-2356; 03.06.2019) (2019 წლის 13 ივნისი). მომხსენებელი: ფინანსთა მინისტრის მოადგილე, გიორგი კაკაურიძე;**

6. საქართველოს პრემიერ-მინისტრობის კანდიდატის მიერ, საქართველო პარლამენტში ნდობის მისაღებად წარმოდგენილი საქართველოს მთავრობის შემადგენლობისა და 2019-2020 წლების სამთავრობო პროგრამის) განხილვა. *(2019 წლის 4 სექტემბერი). მომხსენებელი: საგარეო საქმეთა მინისტრი - დავით ზალკალიანი;*

7. საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 3 თვის მიმოხილვა *(2019 წლის 1 მაისი). მომხსენებელი: ფინანსთა მინისტრის მოადგილე - გიორგი კაკაურიძე;*

8. „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 6 თვის მიმოხილვა“ და საქართველოს კანონის პროექტი „საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე *(2019 წლის 2 სექტემბერი) მომხსენებელი: ფინანსთა მინისტრის მოადგილე - გიორგი კაკაურიძე;*

9. საქართველოს 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების 9 თვის მიმოხილვა. *(2019 წლის ოქტომბერი) მომხსენებელი: ფინანსთა მინისტრის მოადგილე - გიორგი კაკაურიძე;*

10. სამშვიდობო ინიციატივა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“ „ვაჭრობის წახალისება გამყოფი ხაზების გასწვრივ“ მიმდინარეობის შესახებ. *(2019 წლის 21 ოქტომბერი) მომხსენებელი: შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი - ქეთევან ციხელაშვილი. (დახურული)*

11. მოსმენა ოკუპირებულ ტერიტორიებზე და საოკუპაციო ხაზის გასწვრივ უსაფრთხოების კუთხით არსებული ვითარების შესახებ“. *(2019 წლის 28 ოქტომბერი). მომხსენებლები: შინაგან საქმეთა სამინისტროს და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები (დახურული);*

საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციების ხელმძღვანელების მოსმენები:

- 1) ეუთო-ს საპარლამენტო ასალმბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის საქმიანობის წლიური ანგარიში *(2019 წლის 26 მარტი)*
- 2) ნატო-ს საპარლამენტო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის საქმიანობის წლიური ანგარიში *(2019 წლის 26 მარტი)*
- 3) მართლმადიდებლობის საპარლამენტო თამორისო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის საქმიანობის წლიური ანგარიში *(2019 წლის 26 მარტი)*
- 4) ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეაში (PACE) საქართველოს პარლამენტის მუდმივმოქმედი დელეგაციის საქმიანობის წლიური ანგარიში *(2019 წლის 26 მარტი)*
- 5) ევრონესტის საპარლამენტო ასალმბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში *(2019 წლის 23 აპრილი)*
- 6) ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტში (EU-GEORGIA-PAC) საქართველოს მუდმივმოქმედი დელეგაციის საქმიანობის 2018 წლის *(2019 წლის 23 აპრილი)*
- 7) დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაციაში (GUAM) საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში; *(2019 წლის 24 აპრილი)*

- 8) საპარლამენტათშორისო კავშირიში (IPU) საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში; **(2019 წლის 25 აპრილი)**
- 9) საქართველო-მოლდოვა-უკრაინის საპარლამენტათშორისო ასამბლეაში საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში; **(2019 წლის 25 აპრილი)**
- 10) შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის საპარლამენტო ასამბლეაში (PABSEC) საქართველოს მუდმივმოქმედი საპარლამენტო დელეგაციის საქმიანობის 2018 წლის ანგარიში; **(2019 წლის 25 აპრილი)**

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში კომიტეტში შემოვიდა მოქალაქეების (96) წერილი, საიდანაც პასუხი გაეცა (82) წერილს.

კომიტეტის სხვა ღონისძიებები:

საანგარიშო პერიოდის განმავლობაში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის აპარატმა მოამზადა 80-მდე საინფორმაციო ანალიტიკური ბარათი, სულ დაახლოებით 550 გვერდი. ასევე, კომიტეტის აპარატის თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს 30-მდე ადგილობრივ და საერთაშორისო ტრენინგში, ვორქშოპში, კონფერენციასა და სასწავლო პროგრამაში.